ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა "შხარა 91"-ის

წევრთა საერთო კრების

ოქმი

თბილისი

16 იანვარი 2013 წელი

კრებას ესწრებიან:

ამხანაგობის წევრთა სრული შემადგენლობა – დონარა დოლიძე, ბუჭა ტოგონიძე და ნუგზარ სვანიძე;

დღის წესრიგი:

- არქიტექტურის სამსახურისათვის მიმართვა და კორექტირებული პროექტის შეთანხმება.

კრების თავმჯდომარედ არჩეული იქნა დონარა დოლიძე.

კრების თავმჯდომარემ გახსნა კრება და დამსწრე წევრებს მოახსენა, რომ როგორც ცნობილია "ა" კორპუსის მშენებლობა დღესაც დაუსრულებელია და არსებული პროექტი საჭიროებს კორექტირებას. ამისათვის მივმართეთ არქიტექტურის სამსახურს და წარვადგინეთ სათანადო დოკუმენტაცია.

კრებამ დაადგინა:

- იბა "შხარა 91"-მა მიმართოს არქიტექტურის სამსახურს, მოითხოვოს კორექტირებული პროექტის შეთანხმება და სამშენებლო ნებართვის მოწმობის მიღება.

კრების თავმჯდომარე დონარა დოლიძე

ამხანაგობის წევრები:

ბუჭა ტოგონიძე

ნუგზარ სვანიძე

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N130032201
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	17.01.2013 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება**
ნოტარიუსი	**მერაბ ფარჯიკია**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**ქ. თბილისი ვ/ფშაველას 41**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	**2395715**
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	**47946807279813**

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**

ორი ათას ცამეტი წლის ჩვიდმეტ იანვარს მე, ნოტარიუსს მერაბ ფარჯიკიას, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 41-ში. მომმართეს **დონარა დოლიძემ, ბუჭა ტოგონიძემ და ნუგზარ სვანიძემ** რომლებმაც წარმოადგინეს ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა "შხარა-91"-ის წევრთა საერთო კრების ოქმი და მოითხოვეს მასზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად დონარა დოლიძემ (დაბადებული: 28.06.1933წ. ადიგენში, პ/მ ბარათი № 11IB43099 პირადი №01010013456 გაცემული 13.01.2012წ. იუსტიციის სამინისტროს მიერ, მცხოვრები ქ. თბილისი, ნუცუბიძის 3 მ/რ 1 კვ. კორპ. 8 ბინა 18) **ბუჭა ტოგონიძემ** (დაბადებული 07.10.1945წ. თბილისში, პ/მ № ა1386976 პირადი № 01010006892 გაცემული 04.10.2010წ. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ვაკის სამსახურის მიერ, რეგისტრირებული ქ. თბილისი, ნუცუბიძის III მ/რ 1 კვ. კორპ. "ბ" ბინა 5) **და ნუგზარ სვანიძემ** (დაბადებული 20.08.1948წ. თბილისში, პ/მ №ბ0122856 პირადი №01008010900 გაცემული 11.07.1996წ. თბილისის ვაკის რ-ნის შს სამმართველოს მიერ, მისამართი: თბილისი, ტ. ტაბიძის I შესახ. 20) მომმართეს. მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ დავადგინე მათი ნების გამოვლენის ნამვილობა, განვუმარტე, რომ წინამდებარე ოქმზე ხელმოწერის დამოწმებისას ნოტარიუსი ამოწმებს, რომ დოკუმენტზე შესრულებული ხელმოწერა ნამდვილად ზემოაღნიშნულ პირს ეკუთვნის. ნოტარიუსი არ ადასტურებს დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად პასუხს არ აგებს მის ნამდვილობაზე, ამის შემდეგ ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულეს ხელმოწერა წინამდებარე ოქმზე.

გადახდილია სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის ნოტარიუსის საზღაურის შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507-ე დადგენილება 31-ე მუხლისა თანახმად ექვსი ლარი, + 2 (ორი) ლარი სანოტარო მოქმედების ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, თანახმად "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის საზღაურის შესახებ" საქ. კანონის 39-ე მუხლისა + დღგ 1.08 ლარი საგადასახადო კოდექსის 169-მუხლისა.

ნოტარიუსი მერაბ ფარჯიკია